სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ბატონ ვასილ გედევანიშვილს

ბატონო ვასილ,

გაცნობებთ, რომ შპს „უნიფეიფერ"-ი (ს/კ 430044436) გეგმავს ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფელ კვალითის ტერიტორიაზე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 32.12.06.832) არსებულ შენობა-ნაგებობაში ქაღალდის ნარჩენების გადამუშავებას (ნარჩენების აღდგენას).

დაგეგმილი საქმიანობა წარმოადგენს მცირე წარმადობის საწარმოო ხაზს, რომლის ტექნოლოგიური პროცესი მოიცავს: ქაღალდის ნარჩენების (ე.წ ,,მაკულატურის'') სველი წესით დაქუცმაცებას, მიღებული მასის წყლისგან გამოცალკევებას, გაშრობას და კვლავ ქაღალდის პროდუქტის მიღებას, რომელიც გამოიყენება ჰიგიენური დანიშნულებით.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" II დანართის 10.3 პუნქტით განსაზღვრული საქმიანობა (ნარჩენების აღდგენა, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა), ამავე კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად ექვემდებარება სკრინინგის პროცედურის გავლას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგის განცხადებას და კანონმდებლობით განსაზღვრულ თანდართულ დოკუმენტაციას.

გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართები

1. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, სოფ.კვალითში შპს „უნიფეიფერ"-ის ქაღალდის გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს სკრინინგის ანგარიში - 1 ეგზემპლარი (ელექტრონული ვერსია);
2. პროექტით გათვალისწინებული ტერიტორიის GIS კოორდინატები Shp ფაილების სახით - ელექტრონული ვერსია;
3. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 16 ივლისის N22-222419895 წერილი - 1 ეგზემპლარი (ელექტრონული ვერსია).

პატივისცემით,

შპს „უნიფეიფერ"-ის დირექტორი მამუკა აბულაძე

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
25 07 2024წ.
№ 7551